

სს „სპეცჰიდროშენი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

სს „სპეცჰიდროშენი“ (ს/ნ 236035937) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ 1995 წლის 8 დეკემბერს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის მაღალადევის რაიონი, დაბა ზაპესი, ანდრონიკაშვილის ქ. 145ა

საწარმოს მფლობელები:

რ. ავალიანი	-12,0%
გ. სანაია	- 20,6%
გ. ბაბალაროვი	- 19,26%
გ. სურამელაშვილი	- 11,32%
კ. ავალიანი	- 25,47
სხვა	- 11,35%

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა.

საქმიანობის არეალს წარმოადგენს: საქართველოს სხვადასხვა რეგიონები

2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად

საწარმოსათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის

შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შემღებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1 აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მის ფასს სტანდარტებში, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერ-ში. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურეობის სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში

- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის გადავადების უპირობო უფლება

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას ეკუთვნის.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

31.12.2020 – 3.2766 აშშ დოლარი - 4,0233 ევრო
 31.12.2021 – 3.2213 აშშ დოლარი – 3.8077 ევრო
 31.12.2022 – 2.702 აშშ დოლარი – 2.8844 ევრო
 31.12.2023 – 2.6894 აშშ დოლარი – 2.9753 ევრო

3.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მოღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება უკან დაბრუნებები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც:

საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე. საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურებიდან

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ მომსახურების სახეები დეტალურად არის მოცემული მე-6 შენიშვნაში.

3.4 იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, ხოლო ქვეიჯარიან მიღებული შემოსავლები - შემოსავალში შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.5 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით), რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. შენობებისთვის 50 წელი,
2. ავტომანქანებისთვის 15 წელი,
3. საოფისე აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკისთვის 6 წელი,
4. დანადგარებისთვის 15 წელი,
5. ავეჯისთვის 10 წელი.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლობის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის

აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთში შეაგენს 15%-ს.

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ბრძანება #1442, 02.10.2017 – 9,968 ლარი
2. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ბრძანება #13/198, 26.07.2012 – 5,088 ლარი
3. შპს „ჰაიტექ სოლუშენ“, აქტი #ACC 20170227-01, 28.02.2017 – 8.857 ლარი
4. შპს „ISO Consulting“, ხელშეკრულება #14-02, 23.01.2014, - 16,644 ლარი

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგი აისახება - მასალები, საწვავი, სათადარიგო ნაწილები.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტი შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

გრძელვადიანი პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშგებით თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა. საწარმო ჯგუფიდან აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად, სანარდო ანაზღაურება.

3.11 კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალიგანსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

დასახელება	2023 წელი
შემოსავალი	7,575,915 ლარი
შესრულებული სამუშაოები	7,363,806 ლარი
მასალების რეალიზაცია	187,549 ლარი
სხვა	24,560 ლარი

5. რეალიზაციის თვითღირებულება

დასახელება	2023 წელი
შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება	7,460,340 ლარი

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი

დასახელება	2023 წელი
ფართის იჯარა	1,424 ლარი
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	21,760 ლარი
საკურსო სხვაობით მიღებული სარგებელი	1376 ლარი
სულ	24,560 ლარი

7. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

დასახელება	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	588,054 ლარი
ქვემოიჯარე - მომსახურება	1,676,959 ლარი
საოფისე ხარჯები	90,431 ლარი
რემონტის ხარჯები	93456 ლარი
ბანკის საგარანტიო მომსახურება	112,627 ლარი
ბანკის საკომისიო	11,037 ლარი
სხვა საგადასახადო ხარჯი	34,960 ლარი
მივლინება	93,881 ლარი
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	10,000 ლარი
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-10,747 ლარი
არასაოპერაციო ზარალი ძს რეალიზაციიდან	-12,795 ლარი
სულ:	2,711,406 ლარი

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითისხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის დროებითი განსხვავების გამო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს გააჩნდა გადავადებული მოგების გადასახადო აქტივის სახით, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების შედეგად შეიცვალა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმი. შესაბამისად, მოგების გადასახადის აქტივის გამოყენების შესაძლებლობა მოისპო. საწარმომ აღნიშნული აქტივის ჩამოწერა ასახა მოგება-ზარალში.

8. ფინანსური ხარჯი

01.01.2023 წლის დასაწყისში ნაშთი 1,969,024 ლარი, წლის მანძილზე მიღებული იყო სესხი 3,081,522 ლარის ოდენობით, დაფარული არის 3,152,599 ლარი დარჩა დასაფარავი 1,897,948 ლარი.

საკრედიტო ხაზი: გენერალური ხელშეკრულება #000295, 07.03.2007.

საკრედიტო ხელშეკრულების ვადის გასვლის თანავე, ხდებოდა მისი განახლება.

გარანტად ჩადებული იყო ორგანიზაციის უძრავი/მოდრავი ქონება.

დასახელება	2023 წელი
საპროცენტო ხარჯი ბანკის საგარანტიო მომსახურებაზე	112,627 ლარი
საოპერაციო ხარჯი საბანკო სესხზე	209,667 ლარი
სულ:	322,294 ლარი

ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებაში გარანტორს პირადი ქონების უზრუნველყოფით წარმოადგენს დამფუძნებელი.

9. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლით. საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

სრულად მონაწილეების შემთხვევაში:

დასახელება	2023 წელი
დარიცხული მოგების გადასახადი	3,491 ლარი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას, ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“

10. ფულადი სახსრების აღრიცხვა

საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მოქმედებს მცირე სალაროს სისტემა.

#	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფილადი სახსრების მოძრაობა	01.01.2023
1	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5,911
	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	11,952,702
	მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	10,523,387
	გადახდილი პროცენტები (-)	209,667

გადახდილი გადასახადები	(-)	1,149,975
გაუთვალისწინებელი შემოსავალი	(+)	
გაუთვალისწინებელი ხარჯი	(-)	
სესხი	(+)	3,081,522
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(+)	3,151,195
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(-)	33,666
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი	(+)	
მიღებული პროცენტები	(+)	
გადახდილი პროცენტები	(-)	
მიღებული დივიდენდი	(+)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(+)	-33,666
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	(+)	
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	(+)	
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება	(-)	
გადახდილი დივიდენდი	(-)	
სესხის დაფარვა	(-)	3,152,599
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(-)	-3,152,599
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 01.01.2021		4,507
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		-1,404

11. ანგარიში საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ 2022 წელი

საჩვენებლები	კოდი სტრიქონი	ნაშთი წლის დასაწყისში	შემოსულია წლის განმავლობაში	დახარჯულია წლის განმავლობაში	ნაშთი წლის ბოლოს
საწესდებო კაპიტალი	010	169,803			169,803
სარეზერვო კაპიტალი	020	769,959			769,959
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	030	4,431,514		400,000	4,031,514

გაუნაწილებელი მოგება	040	0	112,084		112,084
დაუფარავი ზარალი	050	-908,585	400,000		-508,585
სულ საკუთარი კაპიტალი (სტრ. 010+020+030+040-050)	060	4,462,691	-512,084	400,000	4,574,775

12. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად, მისი დეკლარირების მომენტში როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

2021 წელს დივიდენდის განაწილება არ მომხდარა.

13. ძირითადი საშუალებები

#	საბალანსო ღირებულება	მიწა, შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავტო.ტრანს პორტი	სულ
	31.12.2021	3,632,009	320,863	46,301	1,307,746	5,306,919
	შეძენა				109,374	109,374
	გასხვისება				33,970	33,970
	ჩამოწერა		1,228			1,228
	ცვეთა	23,322	31,959	9,166	87,615	152,062
	31.12.2022	3,608,687	287,676	37,135	1,295,535	5,229,033
	შეძენა (გადაფასება)		39,123	772	33,666	73,561
	გასხვისება				24,500	24,500
	ჩამოწერა					
	ცვეთა	22,857	32,738	7,589	65,359	128,543
	31.12.2023	3,585,830	294,061	30,318	1,239,342	5,149,551

14. სასაქონლო მატერიალური მარაგე

1. მასალები - 406,122 ლარი
2. სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები - 2,676 ლარი
3. დაუმთავრებელი წარმოება - 293,433 ლარი
- სულ : - 702,231

15. მიმდინარე ვალდებულებები

1. სავაჭრო ვალდებულებები - 319,562 ლარი
2. ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ - 0,00 ლარი
3. სხვა ნასესხები საშუალებები - 1,667,017 ლარი
4. სხვა ვალდებულებები - 29,742 ლარი
5. მიღებული ავანსები - 490,881 ლარი
6. საგადასახადო ვალდებულება - 35,840 ლარი
- სულ: 2,543,042 ლარი

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)	2023 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	555,816
გადახდილი ავანსები	920,277
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,476,093

17. მარაგი

(ლარი)	2023 წელი
გადასაყიდად გამზადებული საქონელი	293,433
სულ	293,433

31 დეკემბრის მდგომარეობით ,სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცხრილი, ხანდაზმულობის პერიოდი:

პერიოდი	<30 დღე	30-90 დღე	90-180 დღე	180-დღე 1 წელი	1 წელი- 3 წელი	< 3 წელი	ჯამი
2022		600		1,440	16,338		18,378
2023	10,739	36,850	30,000	23,129	1,300		102,018

ინფორმაციის სესხის შესახებ:

	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	დარიცხული %	გადახდილი %
2021	5,248,116	3,838,416	74,870	74,870
2022	3,081,522	3,152,599	209,667	209,667

პარტნიორების დროებითი შემოსავალი

	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	დარიცხული %	გადახდილი %
2022	559,324	0	40,894	0
2023	583,324	0	43,432	0

ქვეკონტრაქტით შესრულებული სამუშაოები

	2022 წ	2023 წ
მიღებული სამუშაო	0	0
მიღებული ავანსი	0	0
გაცემული სამუშაო	285,950	216,058
გადახდილი ავანსი	100,000	0

ფინანსური მდგომარეობა

სს სპეცკიდრომშენი

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4507	5911	1778
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	555816	18378	97084
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	920277	1114543	432442
მარაგები	702231	1503534	2111128
მზა პროდუქცია		0	0
სხვა	702231	1503534	2111128
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	16366	19254	22651
ძირითადი საშუალებები	5149551	5229033	5306919
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	7348748	7890653	7972002
საიჯარო ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები	319562	219664	90593
ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	35840	131723	117060
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1667017	1629872	855824

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	230931	339152	0
მიღებული გრანტები		0	0
სხვა ვალდებულებები	520623	1107551	1330588
სულ ვალდებულებები	2773973	3427962	2394065
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	169803	169803	169803
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-508585	-908585	19247
გადაფასების რეზერვი	4143598	4431514	4618928
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	769959	769959	769959
სულ საკუთარი კაპიტალი	4574775	4462691	5577937
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7348748	7890653	7972002
სულ მოკლევადიანი აქტივები	2182831	1503534	2111128
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2543042	3088810	2394065

საქმიანობის შედეგები

სს სპეცკიდრომშენი

საქმიანობის შედეგები

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	7575915	5288716
საქონლის გაყიდვიდან	187549	29757
მომსახურების გაწევიდან	1424	2237
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	7363806	5076158
სხვა	23136	180564
გაყიდვების თვითღირებულება	-3153271	-2927246
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4422644	2361470
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1057469	-851774
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-131431	-155459
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-348858	-115764
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2711406	-2079893
სულ საოპერაციო ხარჯები	-4249164	-3202890
საოპერაციო მოგება	173480	-841420
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-23543	-2521

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-37853	-62950
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	112084	-906891
მოგების გადასახადის ხარჯი	3491	1694
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	112084	-906891
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	112084	-908585
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4462691	5577937
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-206661
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4574775	4462691

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3151195	3929402
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-33666	-109374
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-3118933	-3818416
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1404	1612
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		2521
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5911	1778
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4507	5911

სს „სპეცჰიდრომშენის“

გენ.დირექტორი

დ.ნავდარაშვილი